16 იანვარი, შაბათი, 1993 წ.
№ 8 (10791) ● ფასი 8 მან.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიას

„ლელოს“ 18 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა სპორტისა და ტურიზმის საპარლამენტო კომისიის მიმართვა სპეციალისტებისა და მოქალაქეებისადმი, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ კომისიის მიერ მოსამზადებელი კანონპროექტების შექმნაში. მიმართვამ დიდი ინტერესი გამოიწვია. გთავაზობთ რამდენიმე მოსაზრებას.

ვლადიმერ ბარქაია — ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარე: აუცილებელია მივიღოთ კანონი პროფესიონალ სპორტსმენთა სტატუსის შესახებ.

რევაზ კერესელიძე — საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პრორექტორი: აუცილებლად მიმაჩნია მივიღოთ კანონი ზოგადსაგანმანათლებლო, საშუალო სპეციალურ, უმაღლეს და სხვა სასწავლებლებში მოზარდი თაობისა და ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის შესახებ.

ხვედრიან თოდუა — სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბ „ჩაუქის“ თავმჯდომარე: სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბების რეგისტრაციის დროს ვაწყდებით გაუგებრობას, იქმნება ანეგდოტური სიტუაცია — ასეთ კლუბებს უსადაგებენ კანონს მცირე საწარმოთა შესახებ, რადგან სხვა კანონი არ არსებობს, არადა საჭიროა.

ამ დღეებში

● მურთაზ ხურცილავას, როგორც ვიუწყებოდით, დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა. იუბილარს შეხვედრა მოუწყვეს რესპუბლიკის განათლების სამინისტროში. მინისტრმა კოტე გაბაშვილმა ადრესი და საჩუქარი გადასცა სახელგანთქმულ ფეხბურთელს.

● ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტ ვაკთა ფინალური მატჩის მესამე პარტიაში შორტმა მოუგო ტიმანს და ანგარიში გათანაბრდა — 1,5:1,5.

● ჰასტინგსის საახალწლო საჭადრაკო ტურნირში ორი გამარჯვებულია — უნგრელი იუდით პოლგარი და რუსი ევგენი ბარეევი (14 შესაძლებლიდან 9-9 ქულა თითოეულს).

● არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრების ხელმძღვანელობამ თავის რიგებში კვლავ მიიწვია დიეგო მარადონა.

● პროფესიულმა კლუბმა „მორკინალი-92“-მა (პრეზიდენტი როინ ოდიშელიძე) საქართველოს თავდაცვის ფონდში გადარიცხა 10 000 მანეთი.

● თბილისის ჩემპიონი მოჭადრაკე ვაკთა შორის 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით გახდა ოსტატი გია ბაღათუროვი.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის განცხადება

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ყოვლად მიუღებლად მიაჩნია რუსეთის ფედერაციის, ყაზახეთის, უზბეკეთისა და ყირგიზეთის ოლიმპიური კომიტეტების წინადადება, მიიღონ მონაწილეობა ევროპისა და აზიის ქვეყნების ოლიმპიური თანამეგობრობის ასოციაციის დაფუძნებაში.

საქმიანობის მიმდინარე ეტაპზე სეოკის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე კონტაქტების დამყარება, შემდეგ კი მათი გაღრმავება და გაფართოება სხვადასხვა ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტებთან, მათ შორის, რა თქმა უნდა, ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების ოლიმპიურ კომიტეტებთან.

ამას გარდა, სეოკი აუცილებლად თვლის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტების, ევროპის ასოციაციის, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეოკთა ასოციაციის სტრუქტურებში ორგანული ინტეგრირების პროცესის გაგრძელებას და ამდენად ამ ეტაპზე მიზანშეუწონელია კიდევ ერთ ორგანიზაციულ სტრუქტურაში შესვლა, რომელმაც გარკვეულწილად შეიძლება შეზღუდოს კიდევაც სეოკის დამოუკიდებლობა, ხოლო მომავალი ასოციაცია კი მოგვევლინოს სეოკის საქმიანობის ე. წ. „შემდგომ მაკოორდინებელ ორგანოდ“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პოზიციას აღმასკომის გენერალური მდივანი გააცნობს მოსკოვში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ბატონ სამარანჩს, სხვა დაინტერესებულ პირებს.

სეოკის აღმასკომი

სახელმწიფო მეთაურის სამადლობელი წერილი

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ 15 იანვარს სამადლობელი წერილი გადასცა ქართველ ბიზნესმენს, კომერციული ფირმა „აბჯრი“ პრეზიდენტს ლევან თედიაშვილს.

როგორც პრესა უკვე იუწყებოდა, ცნობილმა ქართველმა ფალავანმა, 1972 და 1976 წლების ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში სთხოვა სახელმწიფო საბჭოსათვის შეძენილი მი-8 შვეულმფრენი საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფოს ფონდის საკუთრებად გამოეცხადებინათ. შვეულმფრენის ღირებულება ახლანდელი ფასებით 50 მილიონ მანეთს აღემატება.

სურათზე: სამადლობელი წერილის გადაცემის დროს.

ბიბი კიკვაძის ფოტო

(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

ულოცავენ...

ჭადრაკის რესპუბლიკური ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს **მაია ჩიბურდანიძეს.**

• • •

თავისუფალი ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს სახელგანთქმულ ფალავანს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, ევროპის ორგზის ჩემპიონს და ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორს **შოთა ლომიძეს.**

• • •

ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი დაბადების დღეს ულოცავს გამოჩენილ ქართველ ფეხბურთელს **დავით გოგიას.**

• • •

საქართველოს ძალოსნობის ფედერაცია დაბადების 60 წლისთავს ულოცავს ამავე ფედერაციის პრეზიდენტს, მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს ძალოსნობაში **იური ქართველიშვილს.**

რა ხდება ქვეყანაზე

● **ციურიხის,** ბერლინის, ბრიუსელისა და ოსლოს სპორტულმა მენეჯერებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ამ ქალაქებში მძლეოსნური „გრან-პრის“ მოწყობის თაობაზე. პოლონური „პშეგლონდ სპორტოვის“ განცხადებით, თუ ვინმე მოიგებს შვიდ სტარტს ამ შეჯიბრებებში, დაჯილდოვდება კილოგრამი ოქროს ზოდით.

● **სამხრეთ კორეის** ფირმამ „ჩონხანმა“, რომლის თანამშრომელიცაა ოლიმპიური ჩემპიონი მარათონულ რბენაში იუნ ხვანი, გადაწყვიტა დააჯილდოოს იგი 130 ათასი დოლარით. ამას გარდა, ფირმა მას შეუნახავს სამუშაო ადგილს საპენსიო ასაკამდე. ამჟამად კი, ქალაქ კანგვონდუნგის შემნახველი ბანკი (ოლიმპიური ჩემპიონი ამ ქალაქში ცხოვრობს) მარათონელს ყოველთვიურად 800 დოლარს უხდის.

● **მსოფლიოს** სხვადასხვა ქვეყანაში გულმოდგინედ ემზადებიან ზაკოპანის ზამთრის უნივერსიადისთვის, რომელიც წლეულს უნდა ჩატარდეს. ამ ღონისძიებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 50-ზე მეტმა ქვეყანამ. გუნდები უნივერსიადაზე საკუთარი ხარჯით ჩავლენ და სულზე ყოველდღიურად 40 დოლარს გადაიხდიან.

● **დიდი** ოლიმპიადების გარდა სხვადასხვა ქვეყანაში პერიოდულად ეწყობა მცირე ოლიმპიადებიც. ასე მაგალითად, 1993 წელს იტალიაში მოეწყობა ბრიჯის მოთამაშეთა ოლიმპიადა, რომელშიც იასპარეზებს 60 ქვეყნის გუნდი. ამ რანგის ტურნირს ბრიჯის მოყვარულნი ოთხ წელიწადში ერთხელ ატარებენ. ბრიჯში ფავორიტებად ითვლებიან: აშშ, ავსტრია, იტალია, გერმანია, საფრანგეთი, შვეცია და აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყანა.

● **ოლიმპიური** თამაშების სამასპინძლოდ არ არის საკმარისი მხოლოდ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სურვილი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თანხმობა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ყველაფერი მოსახლეობის თანხმობითა და საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერით უნდა დაიწყოს. ამ მხრივ სტამბულმა, რომელიც პრეტენზიას აცხადებს 2000 წლის ოლიმპიადაზე, საზოგადოებრივი აზრის დიდი მხარდაჭერა მიიღო. თამაშების ჩატარების იდეას ქალაქის მოსახლეობის 94,8 პროცენტი იზიარებს.

„ლელოს“ გადასარჩენად „5 მეგობარი“ — ჩვენი მეგობარი!

გუშინწინ რედაქციაში გვეწვია ფირმა „5 მეგობრის“ წარმომადგენელი, რომელმაც გვაცნობა: ხსენებული ფირმის თანამშრომლებმა გულთან ახლოს მიიტანეს გაზეთ „ლელოს“ პრობლემები; ფირმის პრეზიდენტის ბატონ გია ტყებუჩავას დავალებით მან 25.000 მანეთი ნაღდი ფული შემოიტანა „ლელოს“ დასახმარებლად.

მადლობის მეტი რა გვეთქმის!

ერთად, ერთი მიზნით

საერთაშორისო ორგანიზაციის სტრუქტურის შესაბამისად გაერთიანდნენ საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ფედერაციები — ამ ფედერაციათა რიგგარეშე, გამაერთიანებელ ყრილობაზე ახალშექმნილი ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიო ჩემპიონი გურამ გედეხაური, ვიცე-პრეზიდენტებად — ალბერტ კუხიანიძე და ვლადიმერ იაშვილი, გენერალურ მდივნად — ომზარ შოშიტაშვილი. საპატიო პრეზიდენტები გახდნენ გივი კარტოზია და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი თემურ ხაჩიშვილი.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე კახი ასათიანი და თავმჯდომარის მოადგილე ჯანსულ ბაგრატიონი.

იმედი ძალობს!



●

ახალი წელი ახალი საფიქრალსაზრუნავია — იმედიც უფრო ძალობს, რაც უნდა გაჭირვება იყოს. ერთი სიტყვით, ახალი სპორტული სეზონი დაიწყო და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის და ძიუდოს ოსტატებმა საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატების პირველი შეხვედრებიც გამართეს. „ბერძენ-რომაელთა“ ჩემპიონატში, 62 კგ. წონაში, ბორჯომელი დიმიტრი მულაძემ წინასწარ შეხვედრებში დაამარცხა სამტრედიელი აკაკი ჩაჩუა — 6:4. კობა ჭიჭვეიშვილმა (სამტრედია) მოუგო მუხრან ვახტანგაძეს (ბათუმი) — 4:2.

●

ავსტრალიაში ზაფხული და დიდი ჩოგბურთია



ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი ლელა მესხი 18 იანვრიდან იასპარეზებს მელბურნში, ავსტრალიის ღია ჩემპიონატში, რომელიც ჩოგბურთის სამყაროში ერთობ პრესტიჟულ შეჯიბრებად ითვლება. საკმარისია აღინიშნოს, რომ იგი „როლან გაროსის“ (საფრანგეთის ღია ჩემპიონატი), „უიმბლდონის“ (ინგლისის ღია ჩემპიონატი) და „ფლეშინგ მედოუს“ (აშშ-ის ღია ჩემპიონატი) ტურნირებთან ერთად შედის ე. წ. „დიდი სლემის“ განთქმულ ოთხეულში. დღეს გთავაზობთ ნარკვევს ავსტრალიის ღია ჩემპიონატის შესახებ.

ლელა მესხმა დატოვა თოვლით დაფარული თბილისი და ჩაფრინდა ქვეყანაში, სადაც ამ დროს ზაფხულია — ტემპერატურა ხშირად 30 გრადუსს აღწევს. ავსტრალიაში სხვადასხვა შეჯიბრება თითქმის მთელი წლის განმავლობაში ეწყობა, მაგრამ მათ შორის მთავარი, რა თქმა უნდა, ქვეყნის ღია ჩემპიონატი — დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ასპარეზობაა. ის რა ჩოგბურთელია, „დიდი სლემის“ მოპოვებაზე რომ არ ოცნებობდეს. ოცნება სწორედ ავსტრალიაში იწყება და ხშირად იქვე თავდება. ვინ არ იცის, რომ უამრავი პრეტენდენტიდან „დიდი სლემი“ ამდენი წლის მანძილზე სულ ხუთად-ხუთმა ოსტატმა მოიპოვა: დონალდ (დონ) ბაჯმა (აშშ), მისმა თანამემამულე ქალმა მორინ კონოლიმ, სახელგანთქმულმა ავსტრალიელმა როდ ლეივერმა, მარგარეტ სმით-კორტმა (ავსტრალია) და შტეფი გრაფმა (გერმანია). ეს არის და ეს.

პირველი შეჯიბრება ავსტრალიაში ჯერ კიდევ 1885 წელს გაიმართა. ერთმანეთს შეხვდნენ ვიქტორიისა და ახალი სამხრეთ უელსის ჩოგბურთელები. 1904 წლის სექტემბერში სიდნეიში ჩამოყალიბდა ავსტრალია-აზიის ჩოგბურთის ასოციაცია, 1905 წლიდან კი ავსტრალიის ჩემპიონატები იმართება. საინტერესოა, რომ ამ პირველ ჩემპიონატში მონაწილეობდა სულ... 17 ჩოგბურთელი. პირველი ჩემპიონი გახდა როდ ჰიტი, რომლისთვისაც თასის გადაცემა დაევალა მამამისს, იმხანად ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტს. მაგრამ, დახეთ უიღბლობას — თასმა ვერ ჩამოაღწია ავსტრალიის მეტროპოლიიდან — ინგლისიდან.

პირველ მსოფლიო ომამდე ავსტრალიის ჩემპიონატები სხვადასხვა ქალაქებში — პერტში, ადელაიდაში, მელბურნში, სიდნეისა და ბრისბენში იმართებოდა. ორჯერ იგი ახალი ზელანდიის ქალაქებში — კრაისჩერჩსა და ჰასტინგსშიც კი ჩატარდა. 1908 წელს სიდნეიში გამართულ ასპარეზობაში პირველად გაიმარჯვა უცხოელმა — ამერიკელმა ფრედ ალექსანდერმა. 1912 წელს კი ინგლისის მთელი ნაკრები ეწვია ავსტრალიის ღია ჩემპიონატს, ამ გუნდის ერთ-ერთმა წევრმა ჯონ პარკმა გაიმარჯვა კიდეც.

ამ წლების შეჯიბრებების ერთი თავისებურება ის იყო, რომ მასში ქალები არ მონაწილეობდნენ. დიახ, ისინი უიმბლდონში ჯერ კიდევ 1884 წლიდან გამოდიოდნენ, აშშ-ის ჩემპიონატში — 1888 წლიდან, ავსტრალიაში კი ქალები დიდხანს შტატების შეჯიბრებებს ვერ გასცდნენ და ასეთი მდგომარეობა ძალიან დიდხანს, 1922 წლამდე გაგრძელდა.

1926 წელს ავსტრალიის ჩოგბურთის ასოციაცია სიდნეიდან მელბურნში გადავიდა. პრეზიდენტად აირჩიეს გამოჩენილი ჩოგბურთელი ნორმან ბრუქსი, რომელიც ჩინებული ორგანიზატორი გამოდგა. იგი 29 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ასოციაციას და უამრავი შეჯიბრება მოაწყო. აი, სწორედ ამ პერიოდში იმარჯვებდნენ ავსტრალიის ღია ჩემპიონატებში ისეთი ბრწყინვალე ოსტატები, როგორნიც იყვნენ ბოროტრა, პერი, ბაჯი, სეჯმენი, როზუოლი...

თანდათანობით პოპულარობა ქალთა ჩოგბურთმაც მოიპოვა. ამასთან, ავსტრალიელი ქალების შეხვედრები უცხოელებთან განსაკუთრებით მწვავედ მიმდინარეობდა. 1934 წელს გაიმარჯვა ინგლისელმა დოროთი რაუნდმა, რომელსაც მანამდე უკვე გაემარჯვა უიმბლდონში. მისი თითოეული მატჩი დიდ ინტერესს იწვევდა.

— ავსტრალიის ქალთა ჩემპიონატებში 1950 წლამდე ყველაზე დიდ წარმატებებს აღწევდა დ. ოქჰარდსტი, რომელიც ხუთჯერ გავიდა პირველ ადგილზე. 1953 წელს კი განსაკუთრებული რამ მოხდა — ამერიკელი მორინ კონოლის ავსტრალიაში გამარჯვებით, როგორც შემდეგ გამოირკვა, დაიწყო მისი ტრიუმფული სვლა „დიდი სლემისკენ“.

იმასთან დაკავშირებით, რომ ავსტრალიის ჩემპიონატმა დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი მოიპოვა, თანდათანობით უფრო ხშირად იწუნებდნენ მელბურნში ჯერ კიდევ 20-იანი წლების მიწურულს აშენებულ საჩოგბურთო სტადიონ „კუიონგს“. ამიტომ მელბურნის ცენტრში ახალი, თანამედროვე სტადიონი აშენდა. აქ შეჯიბრებებს გაცილებით მეტი გულშემატკივარი ესწრება (მოსახლეობის პროცენტულ რაოდენობას თუ გავითვალისწინებთ), ვიდრე, ვთქვათ, საფრანგეთში, ინგლისში ან ამერიკის შეერთებულ შტატებში.

რომელი ჩოგბურთელი ქალი სარგებლობს ავსტრალიაში ყველაზე მეტი პოპულარობით? შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი გერმანელი შტეფი გრაფი გახლავთ — ერთადერთი მოქმედი ჩოგბურთელი, რომელმაც „დიდი სლემი“ მოიპოვა. ეს 1988 წელს მოხდა და წარმატებას საფუძველი, როგორც წესი და რიგია, სწორედ მელბურნში ჩაეყარა.

ვინ ეხმარება ფინანსური თვალსაზრისით ავსტრალიელ ორგანიზატორებს? 70-იანი წლების დასაწყისიდან შეჯიბრების მთავარი სპონსორი გახდა ამერიკული თამბაქოს კომპანია „ფილიპ მორისი“, რის შემდეგ ტურნირს „მარლბორო ავსტრალია ოფენი“ უწოდა. 1985 წლიდან სპონსორი შეიცვალა — იგი ამჟამად საავტომობილო კომპანია „ფორდია“. დიდ თანხებს იძლევა სატელევიზიო გადაცემების უფლების გაყიდვაც.

გივი თორელი

სურათზე: ლელა მესხი.

სამი შეკითხვა ფედერაციებს

გასული წლის დამლევს რესპუბლიკური ფედერაციების ხელმძღვანელებს მივმართეთ ასეთი შეკითხვებით:

1. როგორ აფასებთ 1992 წლის სპორტულ შედეგებს თქვენს სახეობაში?

2. რა უნდა გაკეთდეს, რომ 1993 წლიდან ქართული სპორტი უფრო მყარად დადგეს ფეხზე, იმრავლოს წარმატებებმა?

3. როგორ გესმით დღეს დევიზი: „მასობრიობიდან — ოსტატობისკენ!“, რით შეიძლება შეიცვალოს იგი? დადგა თუ არა დრო, გაიმიჯნოს მასობრივი და დიდი სპორტი?

საწყლოსნო სახეობების კონფედერაციის, აგრეთვე, თანამედროვე ხუთჭიდისა და ცხენოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელთა მოსაზრებები დაიბეჭდა „ლელოს“ 2 დეკემბრის ნომერში. ახლა გთავაზობთ პასუხებს კიდევ ორი ფედერაციიდან.

გივი გოსტოლანაშვილი — საქართველოს სასროლო სპორტისა და მშვილდოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანი:

1. იმის მიუხედავად, რომ გასული წელი საქართველოს სპორტსმენებისთვისაც საკმაოდ შფოთიანი იყო, რის გამოც (განსაკუთრებით ჩვენი სახეობების წარმომადგენლებს) ნორმალური ვარჯიშის პირობები არ გააჩნდათ, ზოგიერთი ტურნირი — ჩემპიონატი სასტენდო სროლაში, სამივე სახეობაში თასების გათამაშება — ჩაიშალა კიდეც — შედეგებს ვერ დავემდურებით. ჩვენი 3 სპორტსმენი გამოდიოდა ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში: ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე, მშვილდოსნები — ხათუნა ქვრივიშვილი და ნატო ნასარიძე. ნატომ ხათუნასთან ერთად დსთ-ს ჩემპიონობა მოიპოვა, ოლიმპიადაზე თურქეთის ნაკრების ღირსებას იცავდა, რადგან გაერთიანებულ გუნდში ვერ მოხვდა, თანაც თურქეთის კლუბთან კონტრაქტი აქვს გაფორმებული (ნატომ შარშან თურქეთის ჩემპიონატის 2 ოქროს მედალი დაისაკუთრა). ქვრივიშვილი — ევროპის ორგზის (პირად და გუნდურ ჩათვლაში) ჩემპიონი ოლიმპიადიდან ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა. სალუქვაძე, მართალია, ბარსელონაში უმედლოდ დარჩა, მაგრამ სხვა მის ადგილზე ალბათ ვერც ოლიმპიურ გუნდში მოხვდებოდა და ვერც იმდენ წარმატებას მიაღწევდა, რასაც ნინომ შარშან საერთაშორისო ტურნირებსა და დსთ-ს ჩემპიონატში მიაღწია.

2. ჩვენი სპორტის ფეხზე მყარად დასადგომად აუცილებელია: პირველ ყოვლისა, ეროვნული ერთიანობა, სიმშვიდე, დანგრეული, ისედაც მწირი საწვრთნელი ბაზების აღდგენა, პირველხარისხოვანი სასროლეთების ინვენტარის, ტყვია-წამლის, მშვილდისრების სიმრავლე. თუ ეს არ მოხდა, შარშანდელი წარმატებებიც ხელიდან გამოგვეცლება, რადგან „ძველები“ სარბიელიდან მიდიან, ნაკრების გაახალგაზრდავების შანსი კი ნაკლებია. აქედან გამომდინარეობს პასუხი მესამე კითხვაზეც:

3 დევიზი: „მასობრიობიდან — ოსტატობისკენ!“ მუდამ უნდა იყოს ჩვენი ფედერაციების, სპორტსაზოგადოებების, კლუბების მთავარი ხამოქმედო მიზანი. ეს დევიზი ყოფილი იმპერიის მოგონილი კი არა, ცხოვრების მიერაა ნაკარნახევი. მასობრივისა და დიდი სპორტის გამიჯვნა ამ უკანასკნელს დაღუპვით ემუქრება — მასობრიობის გარეშე არ გვექნება დიდი სპორტი — მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ სახეობათა ფედერაციებმა უნდა იზრუნონ ორივეზე. კლუბების არსებობა მასობრივი სპორტის გარეშე წარმოუდგენელია. გაუმართლებელია კლუბების გაძლიერება მხოლოდ გამოჩენილი სპორტსმენების გადაბირებით, მათთან სხვადასხვა სახის კონტრაქტების დადებით. რა თქმა უნდა, ესეც საჭიროა, მაგრამ კლუბებისთვის მთავარია ნიჭიერი ახალგაზრდების მიზიდვა, მათი სწავლა-დაოსტატება. ფედერაციები ვერ მოიცლიან, დამწყებებთან, ასე ვთქვათ, მასობრივად იქონიონ საქმე. ისინი უმთავრესად დიდი სპორტის სრულყოფისთვის, საერთაშორისო ტურნირებში თავიანთი წარმომადგენლების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად არიან მოწოდებულნი.

ზურაბ რეხვიაშვილი — რაგბის კავშირის გენერალური მდივანი:

1. 1992 წლის შედეგებს ვაფასებთ დამაკმაყოფილებლად, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ფაქტიურ იზოლაციაში აღმოვჩნდით — ჩვენი კავშირი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც უარი თქვა მაშინდელ სსრკ-ის ჩემპიონატში მონაწილეობაზე და მთელი აქცენტი საკუთარ რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე გადაიტანა. რომ არა ქვეყნის უკიდურესად არასტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, შედეგები უკეთესი გვექნებოდა. ამან, განსაკუთრებით, წლის ბოლოს იჩინა თავი, როდესაც საქართველოს ჩემპიონატი, რომელიც მიმოსვლით, ორ წრედ ტარდებოდა, ფაქტიურად ჩაიშალა. აქ ძირითადად ეკონომიკურმა პრობლემებმა იძალა, თუმცა იყო სხვა მიზეზებიც.

2. მდგომარეობის გამოსწორება ძალზე გაგვიჭირდება. სანატრელი გახდა სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის გაწევის ელემენტალური პირობები, მოგებები გაჩანაგდა, არ არის ცხელი წყალი, სპორტული აღჭურვილობა, ბურთები... რომელი ერთი ჩამოვთვალო. მაგრამ მთავარი მაინც ქვეყანაში საერთო პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევაა. სპორტი იქ არის კარგი, სადაც აწყობილი ცხოვრებაა, კაცი იმაზე თუ არ ფიქრობს, ხვალ შვილები როგორ გამოკვებოს. ჩემი აზრით, ახლა როგორმე უნდა გავუმკლავდეთ გაჭირვებას და მაღალი რეიტინგი, რაც ქართულ სპორტს (ჩვენს შემთხვევაში რაგბის) ჰქონდა მოპოვებული, თუ ვერ შევინარჩუნებთ, ძალიან მაინც არ დავაქვეითოთ.

უკეთესი მომავლისათვის უნდა ვემზადოთ აქედანვე.

3. მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა დევიზებზე. სპორტში ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მეჯიკ ჯონსონი, კარლ ლუისი ან მარადონა დიდი სპორტსმენები ლოზუნგების და დევიზების გარეშე გახდნენ, თუმცა დიდ სპორტში ქუჩიდან (მასობრივი სპორტი) მოვიდნენ.

ნგრევა და გამიჯვნა ყოველთვის ადვილია, ჰარმონიის მიღწევაა ძნელი. მასობრივი, ბავშვთა და დიდი (პროფესიონალური) სპორტი, ერთმანეთის ხელშეწყობით, ერთ საერთო მიზანს, სამშობლოს სიძლიერეს უნდა ემსახურებოდეს.

იმის დრო კი დადგა, რომ სპორტული მუშაობის საბჭოური მოდელი ძირეულად შეიცვალოს. ეს სამუშაო უკვე მიმდინარეობს სპორტის კომიტეტში.

წინადადება შემომაქვს ხმარებიდან ამოვიღოთ აბსურდული სიტყვა „ფიზკულტურა“, რომელსაც ჩემში და ალბათ სხვებშიც მუდამ რუსული მისალმების, „ფიზკულტურაას!“, ასოციაციას იწვევდა. გამაჯანსაღებელი სპორტი, ბავშვთა სპორტი, მასობრივი სპორტი, დიდი სპორტი. მე მგონი ასე ჯობია.

ბუკმეკერები აფასებენ

ჩოგბურთში „დიდი სლემის“ პირველი შეჯიბრების — ავსტრალიის ღია ჩემპიონატის დაწყების წინ ლონდონის ბუკმეკერთა კანტორებმა მთავარ ფავორიტებად გერმანელი ბორის ბეკერი და იუგოსლაველი მონიკა სელეში გამოაცხადეს. უიმბლდონის სამგზის ჩემპიონზე ფსონს დებენ საკმაოდ მაღალი შეფარდებით — 10:3, მონიკა სელეშის უპირატესობა კი იმდენად დიდია, რომ, როგორც ამბობენ, მასზე დადებული ფსონი მცირე ფულად მოგებას მოიტანს.

მსოფლიოს პირველი ჩოგანი ვაჟთა შორის, ამერიკელი ჯიმ კურიე ბუკმეკერთა სიაში შვედ სტეფან ედბერგთან ერთად მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს. მეორე საფეხური კი, ამ იერარქიაში, ხორვატ გორან ივანიშევიჩს უკავია. ჩოგბურთელ ქალთა შორის ფავორიტად გერმანელ შტეფი გრაფსაც ასახელებენ.

სენსაციის გარეშე

დამთავრდა რესპუბლიკის ახალგაზრდული პირად-გუნდური პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. შეჯიბრებას ისნის რაიონის სპორტსკოლამ უმასპინძლა. იასპარეზეს თბილისის (I და II), ბათუმის, რუსთავის გუნდებმა და „ინდივიდუალისტებმა“ — სულ 38-მა სპორტსმენმა.

გუნდურ შეჯიბრებაში, როგორც მოსალოდნელი იყო, უძლიერესნი თბილისელები აღმოჩნდნენ (შესაბამისად I და II გუნდი), მესამე ადგილზე ბათუმელები გავიდნენ. პირადი პირველობა ორ ასაკობრივ ჯგუფში გათამაშდა. სპორტის ოსტატთა პროგრამით (1977-1979 წ. წ. დაბადებულნი) შეჯიბრებაში ცალკეულ იარაღებზე გაიმარჯვეს: თბილისელმა ეკა აბრამიამ — სახტუნელა (9,45) და რგოლი (9,16), ბათუმელმა ალიონა ივანოვამ — ბურთი (9,2) და რუსთაველმა ნინო წიკლაურმა — გურზები (9,5). მრავალჭიდში პირველ ადგილზე 37,1 ქულით ეკა აბრამია (მწვრთნელი ნელი სალაძე) გავიდა. მეორე იყო ქრისტინა ადამოვა (ბათუმი) — 36,15, მესამე — ნინო წიკლაური — 35,5.

ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით (1980-81 წლებში დაბადებულნი) ცალკეულ იარაღებზე მეტოქეებს გამარჯვების არავითარი შანსი არ დაუტოვა თბილისელმა ეკატერინა პეჯკინამ (მწვრთნელი ირინე გაბაშვილი) — იგი ყველა დისციპლინაში პირველი იყო: რგოლები — 9,2, ბურთით — 8,5. გურზები — 9,3, ბაფთა — 9,05. მრავალჭიდში მან 35,40 ქულა მოაგროვა და საგრძნობლად გაუსწრო მეტოქეებს. მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ მისი თანაქალაქელები ნინო შეყრილაძე (33,6) და ნატო ფეიქრიშვილი (33,45).

რამინ ჭურაშვილი

რეკორდები...

● **ბარსელონის** ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა, გერმანელმა ველოსრბოლმა იენს ლემანმა შინ გამართული ასპარეზობისას 5 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში 0,93 წამით გააუმჯობესა სანკტპეტერბურგელ ვიაჩესლავ ეკიმოვის მსოფლიო რეკორდი. ლემანის შედეგია 5.42.56.

ოლიმპიზმი ახალ საფეხურზე

პოპულარული გერმანული გაზეთის „შპორტ იმ შპიგელის“ აზრით ოლიმპიური მოძრაობა მიემართება ერთადერთი გზით, რომელსაც კომერციალიზაცია ჰქვია, ვისაც ეჭვი ეპარება ამ აზრის სისწორეში, შეუძლია მოითმინოს ოთხი წელი და დაელოდოს ატლანტის XXVI ოლიმპიურ თამაშებს, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი ფინანსური იმპერიის — „კოკა-კოლის“ დედაქალაქში ჩატარდება.

ერთი პერიოდი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი უფრო ხმამაღლა და თამამად გამოდიოდა თამაშების გიგანტიზმის წინააღმდეგ. ატეხილი აჟიოტაჟი ამ საკითხის ირგვლივ მკვეთრად შემცირდა და ეს, ალბათ, გასაგებიც უნდა იყოს. ამერიკელები თავიანთი ბუნებით და ცხოვრების წესით სწორედ გიგანტური თამაშების მიმდევრები არიან და, საფიქრებელია, ხელსაყრელ მომენტს ხელიდან არ გაუშვებენ. მით უფრო, რომ ცოცხალი მაგალითი ბარსელონის ოლიმპიადისა წინ აქვთ.

გაზეთის კორესპონდენტი საკმაოდ რეალურ მოსაზრებას გამოთქვამს იმის გამო, რომ „მუსიკას“ ატლანტაში „კოკა-კოლას“ ფირმა და ენ-ბი-სის ტელეკამპანია შეუკვეთავენ, ვინაიდან ამ თამაშებში განმსაზღვრელი ძალა მათი მილიონები იქნება.

„კოკა-კოლას“ რეკლამა არ აკლია, მაგრამ, ცხადია, არც ახალი პოპულარობა გააფუჭებს საქმეს. თანაც, ოლიმპიური თამაშები მას საბოლოო ჯამში საკმაოდ სოლიდურ მოგებას მოუტანს. ამიტომ ამ სუპერკონცერნის სპონსორობა სავსებით გამართლებულია. დიდი ხარჯის გაღება მოუხდება ენ-ბი-სისაც, მაგრამ სარგებელს, ეჭვგარეშეა, ისიც მიიღებს. ყოველ შემთხვევაში, ოლიმპიურ პროგრამას იგი მხოლოდ მისთვის ხელსაყრელი გრაფიკით წარმართავს.

სულ უფრო დაბეჯითებით ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ატლანტის ოლიმპიურ პროგრამაში ბინას დაიდებს გოლფი. გოლფი?, იყოს გოლფი, არავინაა მისი წინააღმდეგი, მაგრამ, როცა სანახაობრიობას უწუნებენ ჭიდაობას, ფარიკაობას, ძიუდოს, თანამედროვე ხუთჭიდს, გოლფზე არ უნდა იყოს ლაპარაკი. თუმცა გოლფს ისეთი შეძლებული სპონსორები ჰყავს, რომ მშვიდად შეგვიძლია ვიყოთ მისი მომავლის თაობაზე.

„შპორტ იმ შპიგელი“ საკმაოდ რეალისტურად აფასებს პროფესიული სპორტის ოლიმპიურ მომავალს. იგი, რა თქმა უნდა, მიესალმება მსოფლიო კალათბურთის ტრანსფორმაციას და მიაჩნია, რომ პროფესიული სპორტის სხვა სახეობებმაც იგივე გზა უნდა აირჩიონ. ამიტომ კორესპონდენტის აზრით არ არის გამორიცხული, რომ ატლანტაში იასპარეზონ პროფესიონალმა ფეხბურთელებმაც და მოკრივეებმაც. ამერიკელები პირდაპირ ამბობენ, რომ ოლიმპიური იდეალების სიწმინდე, სამოყვარულო სპორტის თვალსაზრისით დიდი ბლეფია და სხვა არაფერი, რომელიც მხოლოდ სპორტის ფუნქციონერთა ერთ ნაწილს სჭირდება. მათი აზრით, ამას დაადასტურებს ნებისმიერ ქვეყანაში ჩატარებული რეფერენდუმი. სპორტის მოყვარული, რა თქმა უნდა, უფრო დიდი ინტერესით დაესწრება ორი პროფესიონალი მოკრივის ფინალურ შერკინებას, ვიდრე მოხალისეთა რიგით, უინტერესო შეხვედრას...

სპორტ-ბირჟა

განცხადებები მიიღება უფასოდ.

ვიყიდი

01.01. უცხოური წარმოების ნარდს, ლიტერატურას ნარდის შესახებ;

01.02. კარატეს კიმონოებს;

01.03. „ფუტბოლ-ხოკეის“ გასული წლების კომპლექტებს;

01.04. უცხოეთის საფეხბურთო კლუბების სამკერდე ნიშნებს და ვიმპელებს;

01.05. ძველ სპორტულ პრიზებს;

01.06. ცხენის ფიგურებს.

იყიდება

02.01. გორგოლაჭიანი ციგურები;

02.02. საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონების ფოტოსურათების კომპლექტი;

02.03. უცხოური სპორტული კლუბების ვიმპელები.

„დეკორი-91“ დაეხმარა

კონკურსი „აკაკი წერეთელი — 150“ დასრულდა

1990 წლის 18 სექტემბერს „ლელოში“ გამოცხადდა საჭადრაკო ეტიუდების შედგენის საერთაშორისო კონკურსი. იგი აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავს მიეძღვნა. კონკურსის თაოსნები იყვნენ იუბილის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც თავის დროზე სათანადო თანხაც გამოყო, და გაზეთის რედაქცია. მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ დიდი აკაკის საიუბილეო თარიღის ჯეროვანი აღნიშვნა ვერ მოხერხდა. ჩაშლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა კონკურსიც. მართალია, მას არც მონაწილეები აკლდა (შემოვიდა 260 ნაწარმოები). არც მაღალხარისხოვანი ორიგინალური ეტიუდები და არც ჟიურის მცდელობა, მაგრამ, თუ შედეგები არ გამოქვეყნდა, პრიზები არ დარიგდა, საჭადრაკო კომპოზიციის კანონებით, შეჯიბრება ჩატარებულად არ ითვლება.

დღეს ყინული დაიძრა და მკითხველებს ვაუწყებთ შედეგებს. შეჯიბრება გაიმართა ორი განხრით (ეტიუდები მოგებაზე და ყაიმზე). მსაჯმა იური აკობიამ (თბილისი) სხვადასხვა პრიზი — სპეციალური, საპატიო და საქები შეფასებები მიაკუთვნა ევროპისა და აზიის ბევრი ქვეყნიდან გამოგზავნილ 68 კომპოზიციას.

მოსაგები ეტიუდების განყოფილებაში პირველი სამი პრიზი მიეკუთვნათ: 1 — გ. ნადარეიშვილის (სიკვდილის შემდეგ) და მ. გოგბერაშვილის (თბილისი), II-III — დ. გურგენიძის (თბილისი) და ო. პერვაკოვის (მოსკოვი), ვ. ნეიძის (თბილისი) და ე. ლეუნის (ვილნიუსი) კოლექტიურ ეტიუდებს. IV პრიზი ერგო დ. გურგენიძის, ხოლო V-VI პრიზები თანაბრად — დ. გურგენიძისა და ვ. კალანდაძის (თბილისი) კოლექტიურ და ა. კუზნეცოვის (მოსკოვი) ეტიუდებს. 6 სპეციალური პრიზი თანაბრად გაიყვეს: დ. გურგენიძის და ლ. მიტროფანოვის (სანკტ-პეტერბურგი), დ. გურგენიძის და გ. ნადარეიშვილის, რ. თავარიანის (თბილისი), ვ. კალანდაძის, ე. კვეზერელის (თბილისი), შ. წურწუმიასა (ჩხოროწყუ) და რ. მარცვალაშვილის (დუშეთი) ეტიუდებმა.

ყაიმი ეტიუდების განყოფილებაში პრიზები შემდეგნაირად განაწილდა: 1 — დ. გურგენიძე, II-III — ვ. ვლასენკო (ხარკოვი), ვ. ნეიძე, IV-V-VI პრიზები თანაბრად გაინაწილეს — რ. თავარიანის, ვ. კალანდაძის, ა. სოჩნევის (პეტერბურგი) და ლ. მიტროფანოვის ეტიუდებმა. VII იყო მ. გოგბერაშვილის ნაწარმოები. 6 სპეციალური პრიზი თანაბრად გაიყვეს: პ. კასპარიანის (ერევანი) და ნ. რაბინინის (ტამბოვი), ვ. კაცნელსონის (პეტერბურგი) და მ. პევზნერის (ისრაელი), ა. კუზნეცოვის და ბ. გუსევის (მოსკოვი), დ. გურგენიძის, ი. როსლოვის (პეტერბურგი) ეტიუდებმა.

ყველა შეფასებული ეტიუდი, რომელთა შორის არის, აგრეთვე, სხვა ქართველი ავტორების: თბილისელების — ი. დადიანის, რ. მეტრეველის, ჩხოროწყუელი რ. წურწუმიას, გორელი შ. სუხიტაშვილის ნაწარმოებებიც, მსაჯმა ი. აკობიამ კომპიუტერზე ააწყო და ბროშურის სახით დაბეჭდა.

კონკურსის საპრემიო დაფინანსება ითავა თბილისის საოჯახო ავეჯის დამამზადებელმა კომერციულმა ფირმამ „დეკორი-91“ (დირექტორი ლევან ჩლაიძე). ამ ქველი საქმით მან შესაშური ამაგი დასდო ჩვენი საჭადრაკო ხელოვნების განვითარებას და დიდად შეუწყო ხელი მსოფლიოში განთქმული ქართული საეტიუდო კონკურსების ტრადიციის გაღრმავებას.

ვაჟა ნეიძე

უცხოეთის ფეხბურთის ამბები ● უცხოეთის ფეხბურთის ამბები ● უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ჩემპიონატები, მატჩები...

ევროპის რამდენიმე ქვეყანაში გრძელდება ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატები.

● **ინგლისი.** 23 ტურის შემდეგ 41-41 ქულით ლიდერობენ „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ასტონ ვილა“ და „ნორვიჩ სიტი“.

განვლილ ტურში „მანჩესტერმა“ შინ დაამარცხა „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — 4:1, „ასტონ ვილამ“ სტუმრად მოუგო „ლივერპულს“ — 2:1, ხოლო „ნორვიჩმა“ შეტოქის მინდორზე მარცხი იწვნია „შეფილდ უენსდეისთან“ შეხვედრაში — 0:1.

აღსანიშნავია „არსენალის“ ფრე „შეფილდ იუნაიტედთან“ — 1:1 და „ლიდსის“ გამარჯვება „საუთჰემპტონთან“ — 2:1

● **იტალია.** მე-15 ტურში მორიგ გამარჯვებას მიაღწია გათამაშების ლიდერმა „მილანმა“, რომელმაც შინ მოუგო „კალიარის“ — 1:0. მილანელებს ახლა 27 ქულა აქვთ და 8 ქულით უსწრებენ მეორე ადგილზე მყოფ „ინტერს“ („ინტერმა“ სტუმრად დაამარცხა „ფოჯა“ — 3:1).

„მილანი“ უკვე 50-ე მატჩია ზედიზედ წაუგებლად იბრძვის სხვადასხვა შეჯიბრებებში.

სხვა შეხვედრათა შედეგები: „ატალანტა“ — „რომა“ 3:1, „ლაციო“ — „ბრეშია“ 2:0, „პარმა“ — „ჯენოა“ 1:0, „სამპდორია“ — „იუვენტუსი“ 1:1, „უდინეზე“ — „ფიორენტინა“ — 4:0, „ტორინო“ — „ნაპოლი“ 0:1.

● **საფრანგეთი.** 20 ტურის შემდეგ 28 ქულით სატურნირო ცხრილის სათავეშია „მონაკო“. განვლილ ტურში „ლიონთან“ გაიმარჯვა „ნანტმა“ და მასაც 28 ქულა აქვს, ქულით ნაკლები — მარსელის „ოლიმპიკს“, რომელმაც ანგარიშით 5:2 მოუგო „ტულონს“.

● **ესპანეთი.** განვლილ, მე-17 ტურში ჩემპიონატის ლიდერმა „დეპორტივომ“ სტუმრად ანგარიშით 3:0 დაამარცხა ერთ-ერთი აუტსაიდერი „კადისი“ და 27 ქულა მოაგროვა. იგი 2 ქულით უსწრებს ცნობილ „ბარსელონას“, რომელმაც ფრედ ითამაშა „სევილიასთან“ — 0:0, მაგრამ „ბარსელონას“ ერთი თამაში აქვს მოსაგები. 24 ქულით მესამე ადგილზეა მადრიდის „რეალი“, მან სტუმრად ანგარიშით 5:1 მოუგო სოსიედადის „სეხნია“ კლუბს. მადრიდის „ატლეტიკომ“ და ბილბაოს „ატლეტიკმა“ ამავე ტურში ფრედ ითამაშეს — 1:1. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა „ესპანიოლისა“ და „ვალენსიის“ შეხვედრა.

მათეუსი არ ნანობს

მას შემდეგ, რაც მილანის „ინტერი“ დატოვა გამოჩენილმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ (იგი „იუვენტუსში“ დაბრუნდა), მილანელთა საფეხბურთო კლუბის საქმეები უკან-უკან წავიდა. ტრაპატონი ღირსეულად ვერ შეცვალა ახალმა მწვრთნელმა კორადო ორიკომ, ამიტომ „ინტერის“ მესვეურებმა მას დიდხანს არ აცალეს და მის ნაცვლად ცნობილი ესპანელი სპეციალისტი, წარსულში გამოჩენილი ფეხბურთელი ლუის სუარესი მიიწვიეს. სუარესის უპირველესი ღონისძიება ასეთი იყო: მან „ინტერიდან“ გაუშვა სამივე გერმანელი ფეხბურთელი — ბრემე, კლინსმანი და მათეუსი.

როგორც იტალიური პრესა იუწყება, სუარესი მათეუსს თურმე იმიტომ დაუპირისპირდა, რომ გერმანელი ფეხბურთელი მოითხოვდა მწვრთნელად იუპ ჰეინკესის მოწვევას. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მათეუსი გამოჯანმრთელდა და ფრანც ბეკენბაუერის მიწვევით თავის ძველ კლუბს „ბაიერნს“ (მიუნხენი) დაუბრუნდა.

აი, რამდენიმე კითხვა ლოთარ მათეუსს:

● **მართალია თუ არა, რომ „ინტერის“ მესვეურები ისტერიულად არ იყვნენ დაინტერესებული გუნდის ბედ-იღბლით?**

— დიახ, ასეა. ვფიქრობ, გუნდის საუკეთესო ფეხბურთელებს „ინტერის“ ნაცვლად სხვა კლუბები უნდა აერჩიათ.

● **თქვენ იტალიურ პრესასთან ცუდი ურთიერთობა გქონდათ. კერძოდ, იმასაც გაბრალებდნენ, რომ ძალიან გიყვართ განივი გადაცემები, რომელთაც სასარგებლო არაფერი მოაქვთ.**

— თუკი ფეხბურთელს სპეციალურად მოუძებნიან განივ გადაცემებს, ასეთებს, თუ გნებავთ, მარადონაც ხშირად მიმართავს, მე კი ის ფეხბურთელი ვარ, რომელსაც განივი გადაცემები არ უყვარს. საერთოდ, ჟურნალისტებმა ბევრი რამ მომიგონეს, კერძოდ, ის, რომ თურმე ერთი სული მაქვს, ვარჯიში დამთავრდეს და შინისკენ გავიქცე. შეიძლება, ორიოდეჯერ ეს ასეც მოხდა, მაგრამ გაცილებით უფრო ხშირად საწვრთნელ ბაზას უკანასკნელთაგანი ვტოვებდი.

● **რას იტყვით იტალიაში მოთამაშე „უცხოელებზე“?**

— აქ დიდად აფასებენ გერმანელ ფეხბურთელებს. რა თქმა უნდა, არიან კარგი ოსტატები სხვა ქვეყნებიდანაც, მაგალითად, ურუგვაელი სოსა, არგენტინელი ბატისტუტა, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ მრავალრიცხოვან ფეხბურთელებს შორის თავი გამოიჩინა მხოლოდ ერთმა — შალიმოვმა.

● **ხომ არ განიცდით შეშფოთებას იმის გამო, რომ ახლოვდება თქვენი საფეხბურთო კარიერის დასასრული?**

— არა, ამას მშვიდად ვხვდები. კაცი სულით არ უნდა დაეცეს, თუ გამოირკვა, რომ იგი უკვე აღარ არის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი. ის, ვინც ევროპის უძლიერეს ფეხბურთელთა პირველ ათეულში მოხვდა, უკვე ძალიან კმაყოფილი უნდა იყოს. პირველ ხუთეულში მოხვედრა კი საერთოდ დიდ წარმატებად მიმაჩნია.

● **ამბობენ, იტალიური პრესა „ხელს უწყობს“ გამოჩენილი ოსტატების „მზის ჩასვენებას“.**

— თუ ვინმეს საფეხბურთო მწვერვალები დაუპყრია, შემდეგ, ცხადია, დაბლა უნდა დაეშვას. ეს ბუნებრივია. რაც შეეხება პრესას, მას მარტო „ვარსკვლავები“ კი არ სჭირდება, არამედ „მსხვერპლნიც“.

მოამზადა ბიბი თორელაძა

კემპესი სამშობლოში დაბრუნდა

განთქმული არგენტინელი ფეხბურთელი მარიო კემპესი, რომელიც სამი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე იყო, 1978 წელს კი მსოფლიო ჩემპიონი, ამჟამად 37 წლისაა. მაგრამ ჯერჯერობით იგი არ აპირებს თავი დაანებოს ფეხბურთს. ხელი მოაწერა კონტრაქტს „როსარიო სენტრალთან“, რომელიც არგენტინის ლიგაში გამოდის და ახლა სატურნირო ცხრილის შუაგულში იმყოფება. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ კემპესმა განაცხადა: „მე, რა თქმა უნდა, მინდორზე არ ვიფრენ, მაგრამ კიდევ ორიოდე წელს გამოვადგები გუნდს“. ამავე აზრისა არიან „როსარიო სენტრალის“ ხელმძღვანელებიც.

ხელს არ შეუშლის, პირიქით..

იტალიის ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, 32 წლის ალდო სერენა „მილანში“ გადასვლის შემდეგ წარმატებით ვერ თამაშობდა და სათადარიგო მოთამაშედაც იქცა. ასეთ პირობებში ამ ფეხბურთელთან მოლაპარაკება დაიწყო იაპონიის ჩემპიონმა „იომიურიმ“.

როგორც იტალიური გაზეთები იუწყებიან, „მილანი“ ხელს არ შეუშლის ამ გარიგებას, პირიქით...

აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი

აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ დაასახელა კონტინენტის 1992 წლის საუკეთესო ფეხბურთელი. ესაა საფრანგეთის ქალაქ მარსელის ცნობილ „ოლიმპიკში“ მოთამაშე 30 წლის განელი აბედი პელე.

ბოროტმოქმედის ჩანაწერები

გამოჩენილმა დიდოსტატმა ვიქტორ კორჩნოიმ 1976 წელს ჰოლანდიაში პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა და გარკვეული დროის მერე შვეიცარიის მოქალაქეობაც მიიღო. 1978 და 1981 წლებში მან ორი მატჩი ითამაშა მსოფლიო პირველობაზე ანატოლი კარპოვთან. უფრო მოგვიანებით არაერთგზის მონაწილეობდა პრეტენდენტთა ასპარეზობებში. 1990 წელს საგანგებო ბრძანებულებით საბჭოთა მოქალაქეობა აღუდგინეს. მრავალ ენაზე გამოიცა მისი წიგნები „ჭადრაკი ჩემი ცხოვრებაა“, „ბოროტმოქმედის ჩანაწერები“ და „ანტიჭადრაკი“, სადაც ავტორი მოგვითხრობს თავის მღელვარებით სავსე ცხოვრებასა და საჭადრაკო კარიერაზე. წიგნში — „ბოროტმოქმედის ჩანაწერები“, რომელსაც დღეიდან გთავაზობთ, მკითხველი გაეცნობა მრავალ საყურადღებო ფაქტს, რომლებზეც წერა, ადრე, უბრალოდ, შეუძლებელი იყო.

„მინდა ნამუსიანად ვიცხოვრო!“

ეტყობა, ოჯახში ჯეროვანი საბჭოთა აღზრდა არ მიმიღია. ალბათ, სწორედ ამის გამო მამაჩემს სათანადოდ მიეზღო — რამდენიმე ასეულ ცუდად შეიარაღებულ სახალხო მოლაშქრესთან ერთად დაიღუპა ლადოგის ტბაზე 1941 წლის ნოემბერში. ასევე მიეზღო ოჯახის ყველა წევრსაც — როგორც ერთი, ყველა ალყაშემორტყმულ ლენინგრადში შიმშილით მოკვდა.

მე კი გადავრჩი და უკვე 16 წლისამ, 1947 წელს ჩემს თავს პირველი, თუ გნებავთ პოლიტიკური გამოსვლის უფლება მივეცი: საბჭოთა კავშირის ისტორიის გაკვეთილზე ვთქვი, რომ 1939 წელს საბჭოთა კავშირმა პოლონეთს ზურგში ლახვარი ჩასცა. ისტორიის მასწავლებელი ვალენტინა მიხეილის ასული ხუდინა რამდენიმე დღე შიშით კანკალებდა: მისი საყვარელი მოწაფე ვიყავი და არ სურდა, დავესმინეთ. ჩემს კლასელებს მასწავლებელი ძალიან უყვარდათ, მაგრამ ხომ შეიძლებოდა 26 მოწაფეს შორის პავლიკ მოროზოვი აღმოჩენილიყო. რახან ახლა ამ სტრიქონებს ვწერ, ადვილი მისახვედრია, ნაძირალა არ აღმოჩენილა...

ძალიან მიყვარდა ისტორია, მასში ცხოვრების სიმართლეს ვხედავდი ისტორიული მოვლენების პრიზმაში და მე, გულუბრყვილო ახალგაზრდამ, სკოლის დამთავრების შემდეგ ლენინგრადის ჟდანოვის სახელობის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ჩავაბარე. მალე დავრწმუნდი, რომ უნივერსიტეტში ისტორიის სწავლებას ცხოვრების სიმართლესთან საერთო არაფერი ჰქონდა. საჭირო იყო იმის შესწავლა, უფრო სწორად კი დაზუთხვა, რაც ლენინმა და სტალინმა დაწერეს. იმის მიუხედავად, რომ კარგი მეხსიერება მქონდა, „კლასიკოსების“ შესწავლა ყოველთვის მიჭირდა — შინაგანად პროტესტის გრძნობა მიშლიდა ხელს. არა, როგორ გეკადრებათ, დისიდენტი არ ვყოფილვარ, მოჭადრაკე ვიყავი! ამიტომაც ვეძებდი ცხოვრების სიმართლეს თუ არა, ყოველ შემთხვევაში, იმის ლოგიკას მაინც, რასაც ვსწავლობდი. ამ ლოგიკას კი ვერ ვნახულობდი.

ამის მიუხედავად, ხანდახან მაინც ვიყენებდი მიღებული ცოდნის სპეციფიკას. კარგად მახსოვს: მეორე კურსზე შუა საუკუნეების ისტორიის გამოცდა უნდა ჩამებარებინა. საგანი კარგად არ ვიცოდი, მაგრამ გზაში ტრამვაით მგზავრობისას წავიკითხე ბელადის ის-ის იყო გამოქვეყნებული სტატია „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“. ბელადი ანადგურებდა მარის არამეცნიერულ თეორიას და ამავე დროს, მოკლედ გამოთქვამდა თავის შეხედულებას რომელიღაც მოვლენაზე, რომელიც შუა საუკუნეებში მოხდა.

გამოცდის დროს ძალიან მარჯვედ გამოვიყენე სტალინის შენიშვნები. პროფესორი ალტაცებას ვერ ფარავდა და უმაღლესი ნიშანი დამიწერა, მე კი, თუმცა მიზანს მივაღწიე, უსიამო გრძნობა დამეუფლა — თითქოს საკუთარ თავს მივაფურთხე...

დადგა მარქსიზმში სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების დრო. ეს საგანი, მისი ულოგიკობის გამო, ჩემთვის განსაკუთრებით ძნელი იყო. ოთახში რამდენიმე გამომცდელი იმყოფებოდა. სტუდენტს შეეძლო ერთ-ერთი მათგანის არჩევა. შევამჩნიე, რომ გამომცდელთა შორის ჩემი ნათესავი ქალიც იყო. მასთან არ მივსულვარ. „მინდა ნამუსიანად ვიცხოვრო!“ — ეს პირველად ვლადიმერ ვოინოვიჩმა დაწერა. წავედი სხვა გამომცდელთან და სამიანი მივიღე.

კვლავ და კვლავ უნივერსიტეტში გატარებული წლები მახსენდება. სწავლების უკუღმართობის გარდა, ფაკულტეტზე არსებული საერთო სიტუაციაც ცუდად მოქმედებდა. მეგობრული ურთიერთობები, ჭაბუკებისა და გოგოების დამოკიდებულება ერთმანეთთან — ყველაფერი კონტროლდებოდა, პარტიული იდეოლოგიით იყო გაუკუღმართებული. ღრეობები ფაკულტეტის ამხანაგებთან ერთად 7 ნოემბერს, 1 მაისს, 9 მაისს, 31 დეკემბერს — ადამიანებს უნდოდათ წამით მაინც დაევიწყებინათ, როგორ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება. ამ ღრეობებში მონაწილეობა თითქოს ნებაყოფლობითი, სინამდვილეში კი სავალდებულო იყო, თუ არა და იტყოდნენ: „კოლექტივს ზემოდან უყურებს“. აქედან კი „პირად საქმემდე“ ერთი ნაბიჯი იყო. „პირად საქმეს“ კი სერიოზული შედეგები მოჰყვებოდა.

სტუდენტური ხელმოკლეობა ყველას მოგვეხსენება. ჩემი მდგომარეობა მახსენდება: ჯიბეში ტრამვაის ბილეთის ფული მაქვს, ზოგჯერ კი საიმისო თანხაც, ყველაზე იაფი პაპიროსის კოლოფი რომ შევიძინო. ძალზე იშვიათად სტუდენტთა ღატაკურ სასადილოშიც შემეძლო შესვლა. სტიპენდიის მიღება დიდ შემწეობას ნიშნავდა, მაგრამ ამას ყოველთვის ვერ ვახერხებდი. თუ გამოცდაზე სამიანს მიიღებდი ან საგანს ვერ ჩაითვლიდი, სტიპენდიას ნახევარი წლით უნდა გამოსთხოვებოდი. სამიანის გადაბარება შეიძლებოდა, თუ კურსის კომკავშირული ბიურო ამას გადაწყვეტდა. ხედავთ, კომუნაა! ყველაფერს თვითონ სტუდენტები წყვეტენ! რა ვუყოთ, რომ დეკანატი მათ ნორმებს უწესებდა — რამდენ სტუდენტს უნდა დაეკარგა სტიპენდია. მახსოვს ბიუროს სხდომა პირველ კურსზე. „შენ რატომ უნდა გადააბარო?“ — მითხრეს ჩემმა ვითომდა კურსის ამხანაგებმა — „შენ ისტორიკოსი კი არა, მოჭადრაკე ხარ!“

ჩემთან ერთად ნიჭიერი ადამიანები სწავლობდნენ, მეცნიერებისთვის დაბადებულნი. ზოგმა ასეთ პირქუშ ატმოსფეროს ვერ გაუძლო და სხვა სასწავლებელში გადავიდა. ისინი კი, ვინც იმაში, რასაც გვასწავლიდნენ, თუნდაც სიმართლის მარცვალს ხედავდა, დარჩა.

ასე გავატარე ხუთ წელზე მეტი. ეს დრო დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარებისთვის გამოადგა...

პირველი გაკვეთილები

პირველ დიდ საჭადრაკო წარმატებას 1952 წელს მივაღწიე. საბჭოთა კავშირის მეოცე ჩემპიონატი მოსკოვის რკინიგზელთა კულტურის სახლში ტარდებოდა. სცენაზე სტალინის უზარმაზარი სურათი ეკიდა. მე მეექვსე ადგილზე გავედი. რამდენიმე თვის შემდეგ სტალინი გარდაიცვალა. იმ დილას პოლიკლინიკაში უნდა მივსულიყავი ხელის შესახვევად. საპროცედურო ოთახში რეპროდუქტორით გაუთავებლად იმეორებდნენ ცნობას დიდი ადამიანის სიკვდილის შესახებ. მედდა, ხანში შესული უსტონელი ქალი, თითქმის ისტერიკულ მდგომარეობაში იყო. რამდენი წელი გავიდა, სანამ მივხვდებოდი, რომ იგი სიხარულისგან ტიროდა...

1954 წლის დასაწყისიდან სისტემატურად დავიწყე გასამრჯელოს მიღება, როგორც მოჭადრაკემ: სპორტსმენს მისი სპორტული საზოგადოება ან საკავშირო სპორტკომიტეტი უხდიდა სტიპენდიას ან საგანგებო ხელფასს ერთადერთი პირობით: მას არსად უნდა ემუშავა, სპორტში კი წარმატებებისთვის მიეღწია. თუ ამას ვერ შეძლებდა, სტიპენდიას მოუხსნიდნენ, ადრინდელი სპეციალობა კი დროის გასვლის გამო დაეკარგებოდა. სპორტკომიტეტი არავითარ ფინანსურ გარანტიებს არ იძლეოდა, კომპენსაციას არ იხდიდა (ყოველივე ამაზე საჯაროობის დადგომის შემდეგ საბჭოთა პრესაში უკვე წერდნენ). მე კი ყოველთვის აღმაშფოთებდა ხოლმე ის, როგორი ფარისევლობით ამტკიცებდნენ საბჭოთა სპორტის მესვეურები, სიტყვა „სტიპენდიას“ ამოფარებულნი, რომ მათ ქვეყანაში პროფესიონალები არ არიან, რომ ყველა მოყვარული სპორტსმენია. ასე წერდნენ: „ჟურნალისტი ტალი“, „ინჟინერი პოლუგაევსკი“, „ფსიქოლოგი კროგიუსი“, „ფილოსოფოსი პეტროსიანი“, „ეკონომისტი კარპოვი“. თუმცა შტატიან ბიოგრაფებს ნუ შევეცილებით — დიახ, მათ დაახასიათონ ორი დიდი ფინანსური ორგანიზაციის — „მშვიდობის საბჭოთა ფონდისა“ და „ჩერნობილის დახმარების“ საერთაშორისო ფონდის ხელმძღვანელი კარპოვი.

საერთაშორისო ტურნირში პირველად ბუქარესტში გამოვედი 1954 წლის მარტში. ერთი საინტერესო დეტალი: გამოირკვა, რომ ყველას, ვინც საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა, სპეციალურ თანხას აძლევდნენ — „ეკიპირებისთვის“. თვით ამ თანხის დაწესებით საბჭოთა ხელმძღვანელობა აღიარებდა, რომ ცხოვრების დონე საბჭოთა კავშირში გაცილებით უფრო დაბალი იყო, ვიდრე დასავლეთში. იმასაც აღიარებდა, რომ, დიპლომატებსა და ჯაშუშებს თუ არ ჩავთვლით, საზღვარგარეთ ერთეულები მიემგზავრებოდნენ. მერე საბჭოთა კავშირში გამართული საერთაშორისო შეჯიბრებების მონაწილეებსაც აძლევდნენ თანხას „ეკიპირებისთვის“. თანხა 1200 ძველ მანეთს უდრიდა, ე. ი. 120 ახალ მანეთს. ეს იმ დროისთვის საკმაოდ კარგი თანხა იყო — იმდენი, რამდენიც გუმ-ში მამაკაცის ყველაზე კარგი კოსტუმი ღირდა, რომელიც დაუყოვნებლივ ვიყიდე.

1954 წლის აპრილში მეორედ გავემგზავრე საზღვარგარეთ, ამჯერად — ნორვეგიაში. გამოირკვა, რომ „ეკიპირების“ თანხას წელიწადში მხოლოდ ერთხელ აძლევენ. გარდა ამისა, გავიგე, რომ დელეგაციას კაპიტალისტურ ქვეყანაში განსაკუთრებული გულმოდგინებით ადგენდნენ: ინიშნება დელეგაციის ხელმძღვანელი, როგორც წესი, მოჭადრაკე. ხელმძღვანელის თანაშემწე (მოადგილე), რომელსაც სპორტთან არავითარი ურთიერთობა არა აქვს. ამ პროფესიონალ მზვერავს ორი ფუნქცია აქვს: თვალყური ადევნოს ჯგუფის წევრების საქციელს და დაზვეროს მათი საქმიანობა უცხოეთში. მოგვიანებით გავიგე ისიც, რომ, რაც უფრო წარმომადგენლობითია ჯგუფი, მით უფრო ძლიერი მზვერავთა „დაცვა“ მიჰყვებოდა. ჭადრაკის ოსტატებს ახლდნენ ამ ბინძური საქმის ოსტატები, დიდოსტატებს კი ამ ხელობის ვირტუოზები.

როგორც კი ჩვენ, საბჭოთა სტუდენტები, ოსლოში ჩავედით, დაუყოვნებლივ მოგვიწვიეს საბჭოთა საელჩოში. ჩავიცვი ჩემი საუკეთესო პერანგი, რომლითაც ვამაყობდი და რუმინეთში თავსაც ვიწონებდი. საელჩოს მრჩეველმა დაუფარავი ზიზღით გადმოგვხედა და გამოსცრა: „კეთილი ინებეთ და მაღაზიაში ერთი ფერის პერანგები შეიძინეთ. აქ ასეთებს არ ატარებენ!“ დიდი მადლობა ბატონ მრჩეველს! მისი პირით ორსართულიანმა ნორვეგიამ პირველი (დასავლეთში) პოლიტიკური გაკვეთილი ჩამიტარა — მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული გიგანტი ეკონომიკური განვითარებით უიმედოდ ჩამორჩა.

დიახ, უცხოეთში ბევრი რამის სწავლა შეიძლებოდა, მაგრამ იქ ხშირი მოგზაურობით მაინცდამაინც განებივრებული არ გახლდით. ისიც მართალია — ვუნდერკინდი არ ვიყავი, მაგრამ ჭადრაკში ნელ-ნელა მაინც ვწინაურდებოდი. თუმცა 1956 წელს მივიღე საბჭოთა კავშირის დიდოსტატის მოწმობა მე-17 ნომრით, მაგრამ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებოდი უძლიერესი საბჭოთა დიდოსტატების ზედაფენას.

და მაინც, ჩემი პოლიტიკური შეგნება უფრო ნელა ვითარდებოდა, ვიდრე საჭადრაკო ძალა. მახსოვს მოგზაურობა არგენტინაში 1960 წლის ზაფხულს. ქალაქ კორდობაში ტურნირის დამთავრებასთან დაკავშირებით ორგანიზატორებმა მოაწყვეს ბანკეტი, რომელზეც მე და ტაიმანოვიც მიგვიწვიეს. მე სიმპათიური გარეგნობის ახალგაზრდა კაცთან დამსვეს, რომელიც შინაურულად მემუსაიფებოდა.

— მითხარით, რატომ ააშენა საბჭოთა კავშირმა სამხედრო ბაზები მთელ მსოფლიოში?

— რატომ აქვთ ამერიკელებს ბაზები მთელ მსოფლიოში? — მივუგე მე.

— რატომ დაიმორჩილა საბჭოთა კავშირმა აღმოსავლეთ ევროპის ხალხები და ისინი სატელიტებად აქცია?

ეს უკვე ველარ მოვითმინე. რომ იტყვიან, სახე შემეშალა, ავყვირდი. არ ვიცი, რას ვამბობდი, ლამის ისტერიკულ მდგომარეობაში ვიყავი. მოირბინეს ორგანიზატორებმა, ზოდიში მოგვიხადეს შეცდომისთვის, სხვადასხვა ადგილას გადაგვსვეს...

და კიდევ ერთი შემთხვევა. ქალაქ სანტა-ფეში ერთი უკრაინელი მეწვია. მან 30 წლის წინ დატოვა საბჭოთა კავშირი. უკრაინაში ძმა დარჩა. მისი მისამართი მომცა, სატეხი გამომატანა მისთვის გადასაცემად. ახლა ჩემი თავისათვისაც ვერ ამიხსნია, მით უმეტეს გარდაქმნის პერიოდის მკითხველებისთვის, რა დამემართა — სატეხი უკრაინელისთვის არ გამიგზავნია. ჯერ კიდევ უნდა დამეძლია შიშის გრძნობა დასავლეთის მიმართ, არ გავმხდარიყავი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული რომელიმე შეთქმულების მონაწილე.

მოამზადა **ბიჭი ბამრეკელმა**

(გაგრძელება იქნება)

ჰოლიფილდი: „საკმარისია!“

31 წლის ჰოლიფილდმა, რომელიც დუგლასის დამარცხების შემდეგ ორ წელიწადს ინარჩუნებდა მსოფლიო ჩემპიონობას მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის, რიდიკ ბოუსთან წაგებისა და უძლიერესის წოდების დაკარგვის შემდეგ გადაწყვიტა მიატოვოს რინგი.

ევანდერ ჰოლიფილდმა პროფესიულ რინგზე 29 შეხვედრა გამართა და 28 მოგების შემდეგ მხოლოდ ერთი ბრძოლა წააგო — ბოუსთან. ბოუს მსოფლიო ექს-ჩემპიონი უდიდეს მოკრივედ მიაჩნია, თვლის, რომ მისი წასვლა აქტიური სპორტიდან აშკარად ნაადრევია (თუმცა, ცხადია, ჰოლიფილდმა შეიძლება გადაიფიქროს). ხომ შეხვდა თვით ჰოლიფილდი მსოფლიო ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ვეტერანებს — ჯორჯ ფორმენს და ლარი ჰოლმსს.

* * *

საინტერესო

„მაიმუნობანი“

1992 წელი, როგორც ცნობილია, მაიმუნის წლად იყო გამოცხადებული. თავის დროზე ჩარლზ დარვინი ამტკიცებდა, კაცობრიობის ისტორია მაიმუნიდან იწყებაო, ამ თეორიას, ბუნებრივია, მაშინაც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა და ახლაც ბევრი ჰყავს, მაგრამ იმის უგულებელყოფაც არ შეიძლება, რომ მაიმუნის წელი მუდამ მდიდარი იყო ადამიანთათვის საყვარელი სპორტული მოვლენებით, განსაკუთრებით ოლიმპიადასთან დაკავშირებულით.

ძველი ელადის პირველი ოლიმპიური თამაშები (776 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე) გაიმართა მაიმუნის წელს. მაიმუნის ნიშნით იყო აღნიშნული 1896 წელი, როცა ჩატარდა პიერ დე კუბერტენის ინიციატივით აღორძინებული პირველი თანამედროვე ოლიმპიური თამაშები. და კიდევ ორი დამთხვევა მაიმუნის წელთან დაკავშირებით: 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური და 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიური თამაშები მაიმუნის წელს გაიმართა.

* * *

„სპორტლოტო“

მეორე ტირაჟები

„6 45“: 4. 6. 11. 25. 29. 37.
„5 36“: 5. 10. 16. 26. 28.
„6 56“: 3. 4. 34. 38. 47. 48. 54.

პირველი ტირაჟების შედეგები

„6 45“:
6 ნომერი — 0;
5 ნომერი — 15.342 მანეთი;
4 ნომერი — 744 მანეთი.
„5 36“:
5 ნომერი — 703.331 მანეთი;
4. ნომერი — 2.209 მანეთი;
3 ნომერი — 12 მანეთი.

„სპორტპროგნოზი“

მეორე ტირაჟი

1—1, 2—1, 3—2, 4—1, 5—1, 6—1, 7—1, 8—X, 9—1, 10—X, 11—X, 12—X, 13—X.

პირველი ტირაჟის შედეგები

13 შედეგი — 0;
12 შედეგი — 0;
11 შედეგი — 31.977 მანეთი.

გაიზარდა ხვედრითი წილი

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სპორტული ბიზნესის ხვედრითი წილი ინგლისში გაიზარდა 50 პროცენტით და საკმაოდ სოლიდურ ციფრს — 10 მილიარდ გირვანქა სტერლინგს მიაღწია. ასევე გაიზარდა სპორტულ სექტორში მომუშავეთა რაოდენობაც — 37 ათასიდან 400 ათასამდე. სპორტი სულ უფრო დიდ როლს თამაშობს დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაში. იგი იძლევა სამუშაო ადგილებს, შემოსავალს გადასახადებიდან, მრეწველობიდან.

ამ ფონზე შესამჩნევად მცირეა მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღებისთვის გამოყოფილი თანხები სახელმწიფო სექტორიდან, რაც, ექსპერტთა აზრით, სერიოზულ დაფიქრებას ითხოვს.

მთავარი რედაქტორი
ტრისტან მაჩაბელი

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი, მეცნიერების კანდიდატი

ქეთევან დოლიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380008, მ. კოსტავას, 14. ტელ: 99-58-47, 99-81-71. ინდექსი 66486 INDEX დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში